საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 416 1918 წ. ოთხშაბათი. დეკემბრის 25. № 416

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.
ტფილისის გარეშე 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

სადახლოსთან ჩვენი ჯარის გადაჯგუფება. პროვინციიდან უოველდღე ახალ-ახალი რაზმები მიდის დაასაფლავეს ომში მოკლული 32 გვარდიელი, ხალხი აუარებელი დაესწრო. ინგლისური პრესის ცნობით მოკავშირენი აპირებენ ბერლინში შესვლას.

გულ ჩათუთქულნი მშობლები მღვდელი დავით კახაბერი მარიამ ზაქარიას ასული, ძმები გრიგოლი, შალვა და გიორგი, დანი თამარი, სოფიო და ალექსანდრა მეუღლე ლავრენტი ანტონის ძე სარალიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ გარდაიცვალა მეორე კურსის სტუდენტი

არჩილ დავითის ძე კახაბერი

ამ თვის 23-ში წირვა და ანდერძი ჩუღურეთის ნიკოლოზის ეკლესიაში, გამოსვენება თამარის ქუჩა № 35. საკ. სახ. პანაშვიდი ყოველ დღე ხუთ საათზე საღამოთი, დაკრძალვა ოთხშაბათს დეკემბრის 25-ს. 2621

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები გიორგი იოსების ძე და მარიამ ანდრიას ასული, ძმები: ვასილ, საშა და ქორეიკა, და ნინო ბერიძეები, დიდედა ნინო გიორგის ასული და ბიძა შაქრო ანდრიას ძე თუაურები, და მამიდა ელისაბედ იოსების ასული გაბაძე, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა 2 საარტილერიო ბრიგადის, 2 ბატარეის ჯარისკაც-სტუდენტ

იოსებ (ჟოზეფ) გიორგის ძე ბერიძის

ჭრილობისგან უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათ. გუდაურის ქუჩა № 2. გამოსვენება მოხდება დეკემბრის 25-ს დილის 9 ს. ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა იმავე დღეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2652

დიდათ დამწუხრებულნი დები: ოლგა გიორგის ასული ტატიშვილისა, თამარ გიორგის ასული ლიპიაცკისა, ძმები: დავითი და ელიაზარ გიორგის ძენი თულაშვილები, დისწულნი: თამარ გრიგოლის ასული ტოლსტონოგოვისა და დავით გრიგოლის ძე პაპიტაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ლუარსაბ გიორგის ძე თულაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 11 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა დეკემბრის 26 კუკიის სასაფლაოზე.

წარმოდგენა **სახელმწიფო თეატრი** № 7.

პარასკევს, 1918 წ. დეკემბრის 27-ს,

„კავშირი“-ს დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა აქვ. ცაგარლისა.

ქართველი დედა

4 მოქმ.

წმინდა შემოსავალი გადაიდება ომის საჭიროებისათვის

დასაწყისი საღამოს 7 ს. ✦ მსახიობთა კავშირის დირექცია
მზადდება „ტარიელ გოლუა“, „ანტიგონე“. მორიგ. წარ. მომ. ალ. გაჩეჩილაძე.
რეჟისორი შალვა დადიანი. 1438 თანაშემწე ალ. გუგუშვილი.

შაბათი, დეკემბრის 28. **საქართველოს მეომარის დღე** **შაბათს, დეკემბრის 28.**

ტფილისის მოქალაქენო! დაეხმარეთ იმათ, ვინც თავისი სისხლით უზრუნველჰყოფს თქვენს თავისუფლებას და მშვიდობიან არსებობას!

დაამზადეთ ყოველგვარი შემოწირულება. ყველაფერს უღრესი მადლობით მივიღებთ. ქალაქის ყოველ უბნებში შეაგროვებენ ავტომობილებით შემოწირულებას.

საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტი.

გოლოვინის პროსპექტი № 24. თავმჯდომარე **ნ. გაბაშვილისა**

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ეგლახიშვილის ხელმძღვანელობით

დღეს, დეკემბრის 25-ს, ალექოს, იახსის, ზალიპსკის და პოლიაევის მონაწილეობით პირველად

ზ ა ზ ა

დასაწყისი საღამოს 7 საათზე კასა ღია 10-დან 1 საათამდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე.

ხუთშაბათს დეკემბრის 26-ს საბანეევის, მოროზოვას და სარაჯიშვილის მონაწილეობით **ლაკმე** და **ბალეტი** შაბათს დეკემ. 28-ს დილიური საღოსუდის ბენეფისი **ჰოფმანის ზღაპრები** საბანეევა-ოლიმპია, შულგინა-ანტონიო, შვამბერგი-ჯულიეტოს მაროზოვა-ნიკლაუსი, ზალიპსკი ჰოფმანის და ნიკოლსკი-ლინდორფ, კოპპელიუს. დოპერდუტტო დამირულის როლებში.

ადმინისტრატორი გურესი. 1397

მ ა რ ი ლ ი

ტფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება ჰყიდის დაფქულ მარილს ფუთს 21 მანეთობაზე და გობ-მარილს ფუთს 19 მანეთად სასახლო კომიტეტებმა და კერძო პირებმა, ვისაც მარილის შეძენა ჰსურს, უნდა მიმართონ პირდაპირ სასურსათო განყოფილებას (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩის კუთხე)

ტფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება. 1450.

განცხადება

სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილი ამით აცხადებს, რომ რადგანაც ტანისამოსისა და მოკაზმულობის სამზადისი ნაკლებად მოიპოვება, სამხედრო მინისტრმა გასცა ბრძანება, რომ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდებს მიეცეთ სასყიდელი იმ ტანისამოსში, რომელსაც იგი მოიტანს, თუ ეს ტანისამოსი ვარგა სახმარებლად და შეეფერება არსებულ ფორმას.

დაწესებულია შემდეგი ფასები:

თითო მაზარაში 75 მან., ხალათში 55 მ., შარვალში 40 მ., პერანგში 15 მ., პერანგის ამხანაგში 15 მ., ერთ წყვილ წინდაში 4 მ. 10 შაური, ერთ წყვილ წაღაში 120 მ., ერთ წყვილ ბათინკაში 105 მ. 1457

სახალხო სიმღერა-გალობის
6 თვიანი კურსები
მიხ. კავსაძისა
სამშაბათობით და პარასკევობით
საღ. 5—8 საათამდე.
ჩუღურეთის ნიკოლოზის კლასი.
2603

გამოვიდა და იყიდება ყველგან
სამსონ ფირცხალავა
ეროვნება და ეროვნული
თავისუფლება
ფასი 2 მან. 50 კაპ.

ტფილისი, დეკემბრის 25.

რას ნიშნავს ომის გამოცხადება?

სომხეთის მთავრობამ საქართველოს ფორმალურადაც გამოუცხადა ომი. დღემდე, ომის ფორმალურად გამოცხადებამდე, საქართველოს მთავრობის დამოკიდებულობა სომხეთთან და სომხებთან კიდევ არ იყო ისეთი, როგორიც შეეფერება მტრისადმი დამოკიდებულებას. ამიერიდან ჩვენი მთავრობის დამოკიდებულობა სომხეთთან არის დამოკიდებულობა იარაღის, მკლავის, [illegible], ძალთა ჭიდილის. ომის გამოცხადების შემდეგ მტერმა აღარ იცის არავითარი საზღვარი, მტერი იქ მივა, სადაც შეხვდება მოწინააღმდეგე, მისი მიზანი ქართველი ჯარის, ე. ი. ქართველი ხალხის ფიზიკურად დასუსტებაა, მისი მიზანია საქართველოს ქალაქების აოხრება დაწყებული ტფილისით და გათავებული გორით, ქუთაისით, ზუგდიდით თუ ფოთით.

ომის გამოცხადებამ ჩვენი ჯარიც ჩააყენა ასეთს მდგომარეობაში. ომის პერსპექტივა გაძლიერდა, მტერმა დიდი მიზნები დაისახა და მთელი თავისი ძალა გამოიყენა ბრძოლის ველზე.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საქართველოს მთავრობამ ძალიან კარგად იცის, როგორ უნდა აწარმოვოს ომი და [illegible] პასუხისმგებ[illegible]ბის არც ერთს ჩვენს მეომარ სარდალს არ ეშინიან, მაგრამ ჩვენ გვინდა მთავრობის ყურადღება მივაქციოთ ომის ზურგის პოლიტიკაზე, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია ბრძოლის პირველ ხაზებზე. ჩვენ მოგახსენებთ არა სომხეთთან დამოკიდებულების შესახებ, არამედ სომხების შესახებ თვით საქართველოში. უდიდესი უპირატესობა ჩვენს მტერს აქვს ერთს შემთხვევაში: საქართველო გავსებულია სომხის ნაძირალებით და მაშინ, როცა სომხებს ჩვენში დინამიტების საწყობები აქვთ, ჩვენ სომხეთის დასაზვერავად ერთი კაციც არა გვყავს სომხეთში. ყოვლად შეუძლებელია ასეთს მდგომარეობაში სომხობისადმი დამოკიდებულობაში ჩვენ არ გამოვიჩინოთ მეტი სიმკაცრე და მეტი სისასტიკე. იმ სომხობისათვის, რომელსაც მართლა სწყურია ჩვენში მშვიდობიანი ცხოვრება აუცილებლად საჭიროა ჩვენი მთავრობის სისასტიკე, ამ სისასტიკით შეიძლება ისინი შესწუხდნენ, მაგრამ თუ მთავრობის სისუსტემ ანარქია გაამეფა ჩვენში, რომელსაც ასე ამზადებენ სომხის ნაძირალები და დამქაშები, მაშინ სავსებით განადგურდებიან უდანაშაულო სომხობაც და ქართველობაც.

ის ზომები, რომელიც დღემდე მიიღო მთავრობამ სომხის მოსყიდულ ძალების წინააღმდეგ მეტად სუსტი და გაუბედავია. ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ თვით ტფილისში სომხის აგენტები ჯოჯოხეთურ გამოსვლებს არ მოაწყობენ მთავრობის და ხალხის წინააღმდეგ? განა არ აშკარავდება სამარცხვინო ფაქტი, რომ ძეგვის ხიდის აფეთქება მოწყობილია დაშნაკცუთიუნის პარტიის წევრების მიერ? განა გუშინ არ დაეცნენ კიდევ ჩვენს რკინის გზას შულავერის სომხები? განა სომხის ჯარში არ აღმოჩნდნენ ტფილისის მოქალაქე სომხები? განა არამიანცის შენობაში აქაური სომხები არ ახდენდნენ მობილიზაციას სომხეთის ჯარის სასარგებლოდ? განა აქაური სომხის კადეტები არ ამბობენ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით ამ ომის მიზეზი, ვინ არისო? განა ამასვე არ ამბობს ჩვენი სახელმწიფოებრიობის მტერი—დაშნაკცუთიუნის პარტია? ყველა ამ ამბების შემდეგ ჩვენ აღარ ვიცით სად იწყება სომეხი და სად თავდება მოღალატეობა.

აქაურ სომხებს არ უკვირთ, რომ გოლოვინის პროსპექტზე ყველასათვის დასანახავად სომხები იარაღს ინახავენ და ჯარს აგროვებენ, არ უკვირთ, რომ ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან ჩვენივე მოქალაქენი, რომელთაც ჩვენში შეუძენიათ ქონება, ჩვენში აღზრდილან და ქართული ენის ცოდნით ქართველის სახელით იპარებიან ჯარში და იქ ჩვენვე ყელებს გვჭრიან.

სომხობის სისხლში ისე ღრმად გაუდგამს ფესვები ჩვენდამი სიძულვილს, რომ ჩვენ დღევანდელ პირობებში ვერ ვენდობით ვერც ერთს სომეხს, ვერც ერთს მათ მეგობარს. არა თუ მარტო ჩვენ, სომხის ვერც ერთს ძალას დღეს ვერ ენდობა საქართველოს ვერც ერთი მოქალაქე და ეს სავსებით უნდა გაიგოს ჩვენმა მთავრობამ, თუ ჰსურს იყოს გამომხატველი მთელი საქართველოს ინტერესებისა.

ჩვენ მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნას ყოველ დაწესებულებიდან სომხის ძალები, გაყვანილ იქმნას ტფილისიდან დასავლეთ საქართველოში ომისათვის გამოსადეგი ყოველი ცოცხალი ძალა სომხისა, რომ აქ მშვიდობიანობა დავიცვათ.

ჩვენ მოვითხოვთ დღევანდელ პირობებში სასტიკ ზომებს აშკარა მტრებისათვის, ვინაიდან სრულიად უცნობი კუჩარიანები და კიურხიულიანცები ანგრევენ ჩვენს სახელმწიფოს და გვიფეთქებენ ხიდებს.

ძეგვის ხიდის საქმე

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმის გარჩევა, მიუხედავად გართულებულ მომენტისა—საზოგადოების ინტერესს იპყრობს. ჩვენი მტრები სცდილობენ ამ საქმეს იდეური და საერთაშორისო ხასიათი მისცენ. მთავარი დამნაშავე პოლკ. შმაგაილოვი აცხადებს რომ მან ხიდი ააფეთქა ინგლისის მისიის დავალებით და დაასახელა კიდევაც ზოგიერთი პირები, რომელთაც ვითომ ამ საქმის მოხერხება სთხოვეს, რათა გერმანელებისათვის ხელი შეეშალათ.

ასეთი მტკიცება უეჭველია სრულიად სიყალბეა. ერთი წუთითაც რომ დავიჯეროთ, რომ მართლა ვინმე ინგლისელმა შმაგაილოვთან კავშირი დაიჭირა—მაშინაც გაუგებარია ეს საქმე. ხიდი ააფეთქეს მაშინ, როცა გერმანელები აქ ძალიან ცოტანი და დარჩენილიყვნენ და სწორედ იმ დროს, როცა სომხები სანაინში ჩვენს მოდარაჯე ჯარს თავს დაესხნენ—ნოემბრის პირველს. ან კი რა საქმე ჰქონდათ დაშნაკელ ჩუხარიანცს, კიურსელიანცს და კალხუშიანებს ამ აფეთქებასთან, თუ არა მტრობა საქართველოსი? ლაპარაკები იდეურობაზე და სხვა ძალებზე სრულიად ზედმეტია და თავის გადასარჩენად გამოგონილი სიცრუეა.

ამიტომ სრულიად სამართლიანად მოიქცა სასამართლო და ღირსეული პასუხი გასცა დამნაშავეების დამცველ ბ. ზელენსკის, რომელმაც მოითხოვა დამატებითი გამოძიება და საქმისათვის საერთაშორისო ხასიათის მიცემა. სასამართლომ დაადგინა: რადგან ინგლისის მისსიისაგან არავითარი განცხადება არ ყოფილა—პასუხისგებაში მისცეს ისინიც, რომელნიც ინგლისელების სახელით ხსენებულ ბოროტმოქმედებას ხელს უწყობდნენ. ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა ზოგიერთების ცდა—მავნი თეთრად მოგვაჩვენონ და საქართველოს დაღუპვის სურვილი იდეურად გაამართლონ. დამნაშავენი დაისჯებიან და დაისჯებიან სასტიკად.

საქართველოს და სომხეთის ომი

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

საქართველოს რესპუბლიკის მთავარ-შტაბის ცნობა.

დეკემბრის 24. სადახლოსთან ორი დღის ძლიერი ბრძოლა დამთავრდა ჩვენი ჯარის გადაჯგუფებით, რომლებმაც ახალი პოზიციები დაიჭირა.

მტერი ძლიერი ძალებით იერიშებს აწარმოებდა. გადამწყვეტი როლი ითამაშეს ჩვენს ზურგში მდებარე სოფლების მცხოვრებლებმა, რომლებმაც გააფუჭეს რკინის გზა. მტრისგან გარშემორტყმულმა ჩვენმა ჯარმა მეტად მძიმე პირობებში მამაცურად გაარღვია წრე და მტერს არაფერი დაუტოვა. არტილერიამ დახარჯა ყველა ტყვია და მამაცურად გაარღვია მტრის რკალი.

მეჯვრისხევში.

დეკემბრის 22 მეჯვრისხევის კოოპერატივის არა ჩვეულებრივმა კრებამ გაითვალისწინა-რა მოულოდნელი და მოღალატური თავდასხმა უმადურ მეზობელ სომხებისა საქართველოზედ და მათი ნაწილი მოსპოს საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება [illegible] ერთხმად დაადგინა: მიესალმოს საქართველოს მოქმედ პარლამენტს, მთავრობას, ჩვენ გმირ ლაშქარს და უსურვოს მათ მტერზედ ბრწყინვალე გამარჯვება. ამასთანავე აღუთქვამს მთავრობას დახმარებას საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების განმტკიცებაში, ამავე კრებაზე კოოპერატივის მოგებიდან გადადებულ იქმნა მთავრობის განკარგულებაში ათი ათასი მანეთი 10,000 მან. მამაც ლაშქრის დასახმარებლად. კრების თავმჯდომარე ვასილ ბათიაშვილი.

ხარაგაული.

მოვიარე ხარაგაულის რაიონი აღფრთოვანება ხალხში დიდია. [illegible] ლეგვნის ხარაგაულის საზოგადოებათა [illegible] მთავრობას. იმედი აქვს, რომ ვერაგი მტერი ჩვენი სამშობლოსი შემუსვრილ იქნება, გულით ჩვენი ძალ-ღონით თქვენთან ვართ და ბრძოლის ველზე დავუმტკიცებთ მტერს ქართველ დემოკრატიის სიძლიერეს. შორაპნის საზოგადოების ხმოსანი პრ. ფანჩულიძე.

შორაპანში.

შორაპანიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: ტფილისი, მთავრობის თავმჯდომარეს „შორაპნის სამაზრო ერობის მიერ მოწვეული მიტინგი, რომელსაც დაესწრო რამდენიმე ათასი სოფლელი გესალმება თქვენ და ფიცსა სდებს, რომ არავის მისცემს ნებას შებილწოს საქართველოს თავისუფლება. გაუმარჯოს ჩვენს ჯარს და გვარდიას! მიტინგის თავმჯდომარე ანანიაშვილი.

გორი.

გორის მუშათა საბჭომ, რომელზედაც მოწვეული იყო თვითმართველობის სამაზრო ერობის და სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენელნი, მოისმინა-რა მიმდინარე მომენტზე მოხსენება, დაადგინა: კრება მიესალმება საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას და სწამს, რომ ის აიცდენს საქართველოს დემოკრატიას მოსალოდნელ საფრთხეს. კრება მთელის თავის ძალ ღონით დაეხმარება მას ამ პასუხსაგებ მომენტში. კრების თავმჯდომარე კობერიძე.

დეკემბრის 22 გორში მოხდა საჯარო კრება, რომელზედაც პარლამენტის წევრებმა სპირიდონ კედიამ და იოსებ მაჭავარიანმა გააკეთეს მომენტის შესახებ

მოხსენებანი. აღფრთოვანებულმა საზოგადოებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია ყოველივეთი დაეხმაროს მთავრობას მტრის მოსაგერებლად.

მოწოდება.

საქართველოს რესპუბლიკის გზათა უფროსმა ბ-ნმა ბ. კანდელაკმა შემდეგი ბრძანებმა გასცა ლიანდაგის ყველა უფროსთა სახელზე.

„რკინის გზის მუშაკთ ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ წელში გამაგრება წინა თვეების მძიმე განცდისაგან, რომ ახლად სდგანან ახალ მსხვერპლთა და განცდათა წინაშე. ხალხის მტრებმა, დაბრმავებულებმა ავანტიურისტულ პოლიტიკით შესძლეს სომხის დემოკრატიის ჩათრევა ახალ ძმათა სისხლთა ნთხევის საყასბოში და სანაინის ხეობაში იღვრება უდანაშაულო სისხლი ორ მოძმე ხალხისა. საქართველო, ამ საშინელ საფრთხის მოახლოების გამო, რომელიც ძირს უთხრის და ხიფათს უმზადებს რევოლიუციის ყოველგვარ მონაპოვარს და ახალგაზდა რესპუბლიკის სახელსა და ღირსებას ლახავს, კრებს თვის ყველა ძალებს ვერაგ მტერთან საბრძოლველად და გინდა დაიჯერო, რომ რკინის გზის მუშაკნი მებრძოლთა პირველ რიგში ჩაუდგებიან და განმსჭვალულნი საპასუხისმგებლო მოვალეობით მდგომარე მომენტის დროს, პატიოსნად და ღირსეულად შეასრულებენ თვის მოვალეობას სამშობლოს წინაშე. რკინის გზის მუშაკთა ერთი ნაწილი უკვე გაემგზავრა ფრონტზე და გულ-მკერდ გაშლით იცავს სამშობლოს და თავისუფლებას. დანარჩენ ნაწილმაც უნდა ყველა ზომა მიიღოს და თავისი ძალა და ენერგიით ერთხელ კიდევ ექვეთოს ახალ ქარიშხალს. არც სიმხდალეს არც გულის გატეხას და მით უმეტეს საბოტაჟო და სამხედრო სამსახურის თავის დახწევას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, საგანგებო მოვლენანი თხოულობენ მუშაობის გაორკეცებას რკინის გზის აგენტების მხრივ და მე ღრმად ვარ დარწმუნებული რომ რკინის გზის მუშაკნი სახელოვნად შეასრულებენ თვის ვალს სამშობლოს წინაშე და გაამართლებენ ყველა იმ იმედებს, რომელსაც მათზე ვამყარებთ, მაგრამ თუ მათ შორის მოლოდინ გარეშე აღმოჩნდებიან ხალხის მტერი აგენტები მათ არ დავინდობთ არას გზით".

დაჭერილი სომხები

ტფ. გენ. გუბერნატორის ცნობით ვინაიდან სომხები ფარულ კრებებს ახდენენ ტფილისში ჩვენ წინააღმდეგ მიღებულ იქმნა ზომები და ქალაქის სხვა და სხვა უბანში შეიპყრეს ფარულ კრების მომწყობნი. პირველი წყება ამ სომხებისა, რიცხვით 400 სულამდე უკვე გაიგზავნა ქუთაისს მეორე წყებას დღეს ჰგზავნიან. გენ გუბერნატორის განკარგულებით მათთვის მოეწყო დამხმარე და განმანაწილებელი პუნქტები, სადაც შეპყრობილთ აძლევენ დახმარებას და შემდეგ ყოველდღიურათ იგზავნებიან ქუთაისში, სადაც დამზადებულია მათთვის ყველაფერი გუბ. კომისარის მიერ.

საგუბერნიო ბათალიონი

თელავიდან ჩამოვიდა საგუბერნიო ბათალიონი და ტფ გენ გუბ. მაღლაკელიძის განკარგულებაში იქმნა დატოვებული.

სომხური პრესა

სომეხ-ქართველთა ომისათვის

„მშაკი" № 263, დეკემბრის 22. მეთაურ წერილში სომეხ-ქართველთა ომის შესახებ სხვათა შორის სწერს: ომის მიზეზად გახდა „ლორი და ახალქალაქი" მაგრამ ნუ თუ არ შეიძლებოდა ეს საკითხი მშვიდობიანის გზით და საურთიერთო შეთანხმებით გადაჭრილიყო? ნუ თუ ამისთვის საჭირო იყო ის სამძიმო მდგომარეობა რომელშიაც დღეს ჩვენი ერებია? რასაკვირველია, არა ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ ნაციონალისტურ შხამისა და ავანტიურისტულ ტენდენციებიდან განთავისუფლება. თავის დროზე სომხის და ქართველი დემოკრატია სამართლიანად დასჯის დამნაშავეთ, ხოლო დღეს ორივე ერის ინტერესი კატეგორიულის იმპერატივით მოითხოვს დაუყოვნებლივ ზავს... ეხლავე უნდა ჩამოვარდეს დაზავება.: ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეიკრიბოს საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენელთა კონფერენცია და საბოლოოდ უნდა გადასწყდეს საზღვრებისა და ყველა სადავო საკითხები. მანამდე კი ჯარები უნდა გაყვანილ იქნეს სადავო ადგილებიდან".

⁂

მშაკის იმავე № შივინმე „ე" ვრცელსა და საყურადღებო წერილს უძღვნის იმავე საკითხს. ბ. ე. ამტკიცებს სრულიადაც აუცილებელი არ იყო ძმათა სისხლის მღვრელი ომი იმ საკითხების გ დასაჭრელად, რომელთა სახელით იგი გამოცხადდა და სწარმოებს. ავტორი აღნიშნავს რომ საქართველოს მთავრობამ რამდენჯერმე მოიწვია სომხეთის წარმომადგენლები კონფერენციაზე, საგანგებო მატარებელიც კი გაუგზავნა მათ ერევანში, მაგრამ ამაოდ: სომხეთის წარმომადგენლები არ მოვიდნენ კონფერენციაზე, რაც მოწმობს, რომ სომხეთი აწარმოებს „ბეცსა და უგნურ პოლიტიკას".

მერმე ბ. ე. „სანდო წყაროებიდან" გაგებულ ცნობას გვაწვდის, ვითომც საქართველოს მთავრობას კონფერენციას რომ იწვევდა, უკვე წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონოდეს **ლორის ოლქის მთლად და ახალქალაქის მაზრის ნაწილის სომხებისთვის დათმობა**" (ხაზი ჩვ.)

ეს ფრიად საყურადღებო ცნობაა, მაგრამ არა საქართველოს გარეშე პოლიტიკის ნამდვილი მომენტის აღმნიშვნელი, არამედ ჩვენის ფიქრით, სომხობის ერთი ნაწილის გულის ნადების გამომააშკარავებელი: მას ლორე და ახალქალაქის ნაწილი აუცილებლად სომხეთის ტერიტორიად მიაჩნია და მათი დათმობა საქართველოს მხრით შესაძლებლად. რასაკვირველია, დღეს ასეთი იმედები უკვე უსაფუძვლოა, საქართველო თავის „კარს" არავის დაუთმობს.

ავტორი საქართველოს მთავრობასაც სდებს ერთ ბრალს: ის ყურადღებას არ აქცევდა თავის ჯარების ძალმომრეობას ლორის სომხურ გლეხობაზე, ამან გამოიწვია გლეხთა უკმაყოფილება, რომელიც თავის მიზნებისათვის გამოიყენა სომხეთის სამხედრო პარტიამ და ომი გააჩაღა.

აღსანიშნავია „მშაკის" შედარებით ობიექტიური გაშუქება სომეხ ქართველთა ომის მიზეზებისა.

საქართველოს პარლამენტი

(პარასკევი, დეკემბრის 24).

კრება იხსნება 12 ს. 20 წ. თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე. მდივანი კითხულობს დღიურ წესრიგს.

1. კრებამ მიიღო წინა სხდომებზე დამტკიცებული კანონების საბოლოო ტექსტი.
2. პროექტი საქართველოს რესპუბლიკის საეროვნო ღერბისა.

მოხსენებას აკეთებს კ. მაყაშვილი (ხელოვნების კომისიის წარმომადგენელი). კრება უკამათოდ ღებულობს პარლამენტის მიერ წარმოდგენილს საქართველოს რესპუბლიკის საეროვნო ღერბის, სამხედრო დროშის, მთავრობის შტანდარტისა და სამოქალაქო კომერციული ბაირაღის პროექტ. ეს პროექტი მოწონებული იყო მთავრობისა და ხელოვნების კომისიის მიერ.

თავმჯდომარის წინადადებით კრება სწყდება რათა პარლამენტის წევრები დაესწრონ სომხებთან ბრძოლაში დაღუპულ გმირ გვარდიელების დასაფლავებას

ინგლისური პრესის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

ბერლინის დაჭერა.

გერმანული გაზეთი „ფორვერსტს" იუწყება, რომ ადვილი შესაძლებელია ბერლინი შეთანხმების სახელმწიფოებას ჯარმა დაიჭიროს.

ესპანია და ვილსონი.

ესპანიის მინისტრ-პრეზიდენტი ჩავიდა პარიზში, რათა ვილსონთან ერთად განიხილოს ის საკითხები, რომელიც ესპანიის ინტერესებს ეხება და აგრეთვე საკითხი საზავო კონფერენციაში ესპანიის მონაწილეობის შესახებ. ამ ვიზიტს ესპანიაში დიდ მნიშვნელობას აძლევენ რადგან ეს ნიშნავს პირენეის ნახევარ კუნძულზე გერმანიის იმპერიალიზმის საბოლოო დამარცხებას.

კლემანსო.

პარიზიდან იუწყებიან რომ ადვილად შესაძლებელია კლემანსომ მონაწილეობა მიიღოს საზავო კონფერენციაში.

დენიკინის ჯარი.

დენიკინის სამხედრო ძალა კუბანში, რომელიც სრული შეთანხმებით მოქმედობს კადეტთაგან და ზოგიერთ რევოლიუციონერთაგან ადგილობრივ დროებით მთავრობასთან, იბრძვის გერმანელების და ბოლშევიკების წინააღმდეგ და შესდგება 100000 კაცისაგან. დენიკინთან სრული შეთანხმებით მოქმედობს დონზე გენერალი კრასნოვი, რომელიც ზოგიერთ დემოკრატიულ პლატფორმას იცავს.

ახალი ამბავი

◆ **მეომართა დღე.** საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტი შაბათს, დეკემბრის 28-ს აწყობს მეომართა დღეს. ქალაქის ყოველ უბანში ჩამოივლის საგანგებოდ მოწყობილი ავტომობილები. შეაგროვებენ ყოველგვარ შემოწირულებას ფულს, საპონს, წუმწუმს, პაპიროსს, პაპიროსის ქაღალდს, თამბაქოს, ძაფს, სხვა და სხვა სასმელს, ხმელ ხილს და სხვა.

◆ **იოს. გედევანიშვილი.** დეკემბრის 23 ჩამოვიდა სოჭის ფრონტიდან ტფილისში.

◆ **საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის** მეორე ყრილობაზე ცენტრალურ კომიტეტში არჩეულ იქმნა შემდეგი ამხანაგები: ლეო შენგელაია, ილია ნუცუბიძე, ივ. გობეჩია, იოს. აბაკელია, იოსებ გობეჩია, ს. ჩემოდანოვი, კ. ჯავარიშვილი, გ. ნათაძე, ილია თევზაძე, მ. ფაჩუაშვილი და ილ. კაკაბაძე

მათ კანდიდატებად მ. ქანიშვილი და აპ. კაკაბაძე.

◆ **მიულერის გაძარცვა,** დეკემბრის 23-ს საღამოს 9 ს. მოსკოვის ქუჩაზე გერმანიის მისიის წარმომადგენელს ვ. მიულლერს თავს დაესხა ოთხი შეიარაღებული და 10 ათასი მანეთი წაართვა.

◆ **ლურჯ ბილეთიანების გაწვევა.** სამხედრო მინისტრის განკარგულებით ჯარში გაწვეულნი არიან ლურჯ-ბილეთიანები, რომელნიც დაბადებულან 1892, 93, 94 და 95 წელს. მობილიზაციის პირველ დღედ დანიშნული იყო დეკემბრის 24. მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამომდე სამხედრო უფროსის ბინაზე: (სადგურის ქ თამამშევის სახლი).

◆ **საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო!** მოიხადეთ თქვენი ვალი ჩვენი ერისა და დამოუკიდებლობის დაცველთა წინაშე მათი თავგანწირული ბრძოლ[illegible]კობების ჩვენს ქალაქებში მშვიდად მყოფნო! მიაწოდეთ სულიერი საზრდო ჩვენს გმირებს, ფრონტზე მებრძოლ რესპუბლიკურ ჯარსა და გვარდიას სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილების თაოსნობით ტფილისის ქუჩებში დადგმულ ყუთებში ჩაუშვით ახალი ან წაკითხული ჟურნალ-გაზეთები. რომელიც ყოველ დღე ეგზავნება, ჩვენს დამცველ ფრონტზე. ეს ხომ ყველას შეუძლია. სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციის თავჯდომარე სერ. ჟორჟოლიანი.

◆ **პატიმარის მოკვლა.** დეკემბრის 23 მილიციონერებს ტუსაღი გ. გრიგორიანცი მიჰყავდათ. პატიმარმა გაქცევა დააპირა. მილიციონერებმა ესროლეს და იქვე მოკლეს.

◆ **გვარდიელების დასაფლავება** გუშინ დეკემბრის 24 საძმო სასაფლაოზე დაასაფლავეს ბრძოლის ველზე გმირულად დახოცილი 32 გვარდიელი. გამოსვენებას დიდძალი ხალხი დაესწრო; დაესწრნენ აგრეთვე გვარდიისა და რეგულიარულ ჯარის ნაწილები. გამოსვენებას დაესწრო მთელი თავისი შემადგენლობით საქართველოს პარლამენტი.

◆ **ხმოსნების დაპატიმრება.** მთავრობის განკარგულებით დააპატიმრეს სხვათა შორის ქალაქის საბჭოს ცხრა დაშნაკცაკანი ხმოსანი.

◆ **ამაღლების ეკლესიი გაძარცვის განზრახვა.** დეკემბრის 22, საღამოთი სამა უცნობმა გასტეხა ამაღლების ეკლესია და როცა ავტომობილით გაჰქონდათ ძვირფასი ხატის სამკაულები მაშინ შეამჩნიეს და დააპატიმრეს სამივე ქურდ ბაცაცა. დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ სომხები.

◆ **მკვლელობა.** სადგურ გურჯაანიდან გზათა სამინისტროს დეპეშით ატყობინებენ დეკემბრის 19 საღ. 8 ს. სატენნიკო კანტორაში სადგურის უფროსის თანაშემწემ აკაკი ბერიაშვილმა რევოლვერით მოკლა ტელეგრაფისტი ალექსანდრე გორდეზოვი. მიზეზი პირადი მტრობაა.

◆ **ლექციები.** დღეს დეკემბრის 25 საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია:
1) დ. დეკანოზიშვილისა ასტრონომია
2) მოხსენება მომენტზე რ. ჩიხლაძე

◆ **ფოთის თვითმართველობისაგან.** ფოთის თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირის წევრები უგზავნიან დამხმარე კომიტეტს 2000 მანეთს საქართველოს რესპუბლიკის ლაშქრის სასარგებლოდ, კავშირის წევრნი აღფრთოვანებულნი არიან მთავრობის განკარგულებით ბურჟუაზიის პარტიის „დაშნაკცუთიუნის" წინააღმდეგ მიღებული ზომებით და ფიცს სდებენ სამშობლოს სამსახურისათვის! ძმებო, დებო, და ამხანაგებო-გამოიღეთ წვლილი. თავისუფლება განსაცდელშია! გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას, მის ლაშქარს და გვარდიას.

კავშირის გამგეობა

◆ **„ეროვნება და ეროვნული თავისუფლება".** ამხ. სამს. ფიცხელავას წიგნი მოუვიდა რედაქციის წიგნი სუფთად არის გამოცემული, შეიცავს 64 გვერდს და ჰღირს 2 მ. 50 კ. წიგნაკი იყიდება რედაქციაში.

◆ **„თეატრი და ცხოვრება"** რედაქციას მოუვიდა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრების" მე-16 ნომერი. ჟურნალში მრავალი სურათია მოთავსებული და ღირს 2 მან.

◆ **მუშათა გაზ. „სოც. ფედერალისტი".** იანვრის პირველიდან განახლებულის რედაქციით გამოვა საქართ. სოციალისტ ფედერალისტ მუშათა კავშირებას საორშაბათო საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი". გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ პარტიის დამსახურებული წევრები და ქალაქისა და სოფლის ამხან. მუშები, გაზეთზე უკვე სწარმოებს ხელის მოწერა.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ორშაბათს, დეკემბრის 25 საღამოს 6 საათზე დანიშნულია სოც. ფედ. პარტ ის ტფილისის წევრთა საერთო კრება **მეომართათვის საჩუქრების შეგროვების** საკითხის გამო მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ნინო ნაკაშიძე. წევრებს, განსაკუთრებით ქალებს უმორჩილესად ვსთხოვთ აუცილებლად დაესწრონ.

პარასკევს საღამოს 6 საათზე დანიშნულია ნაძალადევის რაიონის წევრთა საერთო კრება. მოხსენებას წაიკითხავს სოც.-ფედ. სამხედრო საბჭოს წევრი დასასრულ მოხდება არჩევნები მებრძოლი რაზმის ნაძალადევის წევრთა კომიტეტისა. ამხანაგებს ვთხოვთ აუცილებლად დაესწრონ.

საქარ. სოც.-ფედერ. მუშათა კავშირის დრ. მთავარი გამგეობის გარდაწყვეტილების თანახმად ამხ. გიორგი მაღრაძე მიემგზავრება ორგანიზაციულ მუშაობისათვის პროვინციაში და აგრეთვე მუშათა გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტის" საქმეების მოსაგვარებლად პარტიულ ამხანაგებს ვთხოვთ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მას.

მოწაფეთა საერთო კრება დღეს. საღ. 5 საათზე, მთავარ ბიუროში დანიშნულია ყველა სასწავლებლების მოწაფეთა საერთო კრება. გასარჩევია საკითხი შეიარაღების შესახებ. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ქალაქის საბჭო

დეკემბრის 23 სხდომა გაიხსნა ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით. ხმოსნები და ხალხიც ცოტაა, რადგან დღეს შესვლა ბილეთებით ჰხდება.

დაშნაკელების სკამებზე არავინ არის. ნელა და მორიდებულად მოიპარებიან ეს-ერები: თარხანოვი, ხუდადოვი და სხვ.

ქალაქის მოურავი ნ. ელიავა რაღაც მორიდებულად, დარცხვენილად მოუთხრობს საბჭოს, რომ სომხეთთან ომი უკვე ფაქტია, რომ სომეხ მილიციონერებს იარაღი აჰყარეს და ცხრა ხმოსანი საბჭოსი დაპატიმრებულია არა როგორც ხმოსანი, არამედ როგორც დაშნაკელები, რომელნიც სომხის ჯარისათვის ტფილისში და სხვაგან ახდენენ მობილიზაციას. დასასრულ მოიხსენია ბრძოლაში დაღუპული ჩვენი ჯარის-კაცები და ფეხზე ადგომით პატივისცემა ეთხოვოს საბჭოს.

მთელი საბჭო ფეხზე დგება.

ხუდადოვი, თარხანოვი და კომპანია, რომელნიც წინად ყოველ უმნიშვნელო შემთხვევის გამო ენას წაიგრძელებდნენ ხოლმე—დღეს დიპლომატიურად სდუმან.

შემდეგ საბჭომ გაარჩია რამდენიმე წვრილმანი საკითხი. ათის ნახევარზე ქვორუმი დაირღვა და სხდომაც შესწყდა.

საგენერალ-გუბერნატოროში

ტფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით მის საგანგებო რწმუნებულად ტფილისის მაზრისა დაინიშნა ტფ. მაზრის კომისარი ი. გომართელი, ხოლო გორის მაზრის საგანგებო რწმუნებულად ამავე მაზრის კომისარი ივ. ქარცივაძე.

ტფ. გენ.-გუბერნატორ მაღლაკელიძის განკარგულებით ახზულაღსა და მანგლისს გაიგზავნა საგანგებო ცხენოსანთა რაზმი ამ კუთხეებში მობილიზაციის წესიერად გასატარებლად და საეჭვო ელემენტების შესაპყრობლად.

გორში ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით გაიგზავნა საგუბერნიო ბათალიონის საგანგებო რაზმი. ამავე მაზრაში გადიდებულ იქმნება მილიციის რეზერვი

ქ. ტფილისში გენ. გუბერნატორის განკარგულებაში მოდის ყოველ დღე საგანგებო რაზმები, თვისი იარაღით და მოკაზმულობით

ჩვენც გაგვიშვით სანაინში

აგერ ცხრა თვეა შესდგა ბათომის პარტიზანული პოლკი და მას შემდეგ არ იცის რა არის დასვენება, მყუდრო ცხოვრება. ოზურგეთი, აწყური, დარიალის ხეობა—ეს საუკეთესო ილიუსტრაციაა ამ რაზმის მოქმედებისა. ჩვენი პარტიზანები ერთნაირად მოქმედებდნენ ერთნაირ თავ-დავიწყებამდის მიდიოდნენ სამშობლოს დაცვის საქმეში, როგორც გაშლილ ოზურგეთის მიდამოებში, ისე დარიალის ხევ-ხუვ-კლდეებში, ისე აწყურის ტყეებში. ყველგან სიმამაცე, ყველგან გამარჯვება! ყველგან ტრიუმფი! ეხლაც ერთ საშიშ პოზიციათაგანი უკავია ჩვენს რაზმს,—მოხალისეთა არმიას უდგას წ[illegible] სოჭასა და ტუაფსეს შუა. არ დაღლილა პარტიზანი, მან დიდი ხანია დაივიწყა რა არის მყუდრო ცხოვრება.

ენკენისთვის პირველიდან დაიწყო ჩვენმა რაზმმა სამეგრელოში „ბოლშევიზმის" ჩაქრობა, შემდეგ სამურზაყანოს მიაშურა და ეხლა კი დენიკინის ჯარს ჰყარაულობს როდის გაბედავს გადმოსვლასო. სამს თვეში ბრძოლა არსად გვქონია (თუ არ მივიღებთ მხედველობაში უმნიშვნელო შეტაკებებს ყაჩაღთა ბრბოებთან) და თუ ჯერ არსად დაღლილა პარტიზანი,—ამ უმოქმედობამ დაღალა. ძნელია, როდესაც ბრძოლა გწყურია მთელის შენის არსებით და ობიექტი კი ვერ გიპოვია.

ეხლა, გმირი პარტიზანი რას არ განიცდის სანაინის ამბების გამო-რა არის მისი იქ ზღვის პირას ყოფნა!

თუმც მას შეგნებული აქვს, რომ იქაც უსაქმო დგომით საქმეს აკეთებს, მაგრამ როგორ შევადაროთ ერთმანეთს იქ დგომა და სანაინის ტრაგედია?.

ყოველივე ფიბრი ჩვენის ორგანიზმისა თრთის, წაერთვა გონებას მოსვენება, ვისწრაფით სანაინისკენ, რომ ზედ შევაკვდეთ მუხანათს მტერს, იქ არის ჩვენი ადგილი, სხვაგან არსად ძნელია ამნაირი განცდა და მით უფრო ჩვენთვის, და ვთხოვთ ვისთანაც ჯერ არის: ჩვენც გაგვიშვით სანაინში! ჩვენი სახელოვანი გენერალი გედევანიშვილი უკვე უყრის თავის გმირებს, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზს გამო სახლში იყვნენ დროებით გაშვებული,—გმირები უკვე გროვდებიან, იკრებს ძალას ბათომის პარტიზანული რაზმი იმ იმედით, რომ,—სანაინში ან სიკვდილი ან გამარჯვება!

ადვილად შეიძლება სხვა ნაწილით გამოცვლა ჩვენის რაზმისა და იმ სიშორიდან ფრთას შეისხავს და სასწრაფოდ ჩამოვა დედა-ქალაქში, აქ შეივსება უკვე შეგროვილ გმირებით და უჩვენებს მუხანათს მტერს, როგორი უნდა ბრძოლა და სამშობლოსათვის თავ-დადება?

და ამიტომ: ჩვენც გაგვიშვით სანაინში!

პოდპორ. დავ. კარბელაშვილი.

პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია

კვირას, დეკემბრის 22-ს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტიის კლუბში დილის 12 ს. პროფ. ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექცია: „საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის".

მოგვყავს ლექციის მოკლე ანგარიში,

ჩვენში ერთი ილიუზიაა, ძალიან გავრცელებული, დაიწყო პატივცემულმა პროფესორმა. ამბობენ, რომ სომეხ ქართველთა შორის თავის დღეში არ დაღვრილა სისხლი, თავის დღეში არ ჰქონიათ ომი და სხვ მაგრამ ისტორიას უფრო კარგი მეხსიერება აქვს, ვიდრე ჩვენ. ისტორიამ იცის, რომ ქართველ-სომხებს სულ ცოტა სამჯერ მაინც ჰქონიათ ბრძოლა სწორედ იმ ადგილებისათვის, რისთვისაც დღეს არის ომი. ყოველთვის საქართველოს და სომხეთის აღორძინება, მოღონიერება რომ დაწყებულა—მაშინვე დაწყებულა დავა ამ ადგილებისათვის.

სომხები ყოველთვის მოიწევდნენ ჩრდილოეთისაკენ. როდესაც სომხეთი მარცხდებოდა, მისი მცხოვრებნი შემოდიოდნენ ჩვენს ქვეყანაში და უმთავრესად რასაკვირველია, სახლდებოდნენ მოსაზღვრე ადგილებში. მაგრამ ისინი შემოდიოდნენ სახელმწიფოში, რომელსაც ემორჩილებოდნენ და რომლის სტუმართმოყვარეობით სარგებლობდნენ.

დაახლოვებით მეათე საუკუნის დამლევიდან ეს კუთხეები საბოლოოდ საქართველოს მიეკუთვნა. მხოლოდ ერთი მომენტი იყო, როცა სომხეთს ეჭირა იგი და მას შემდეგ არც ერთხელ არ მოშორებია საქართველოს. იგი იყო მოწინავე პოზიცია, რომელსაც მტერი ექვეთებოდა ხოლმე და ამიტომ ჩვენი წინაპარნი ძალიან დიდ მნიშვნელობას აწერდნენ მას.

ბორჩალოს ეხლანდელი მაზრა იწოდებოდა „მოწინავე დროშად“, რადგან შემოსეულ მტერს პირველად იგი უნდა დახვედროდა. ხოლო ჯავახეთი იწოდებოდა და „წინმბრძოლთა დროშად“. ლორის ციხე ითვლებოდა საქართველოს სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის ბინად.

სტრატეგიული მნიშვნელობა ლორისა და ჯავახეთისა—კარგად ესმოდათ რუსებს და დიდ ყურადღებას აქცევდნენ. სომხები ამტკიცებენ, რომ ჯავახეთი და ბორჩალო უდავო მათი კუთვნილებაა. ეს არ არის მართალი, როგორც წარსულის გახსენებით დაინახავდით. პირიქით, მაშინაც კი, როცა სომხეთი იყო—ეს ტერიტორია არასოდეს არ ყოფილა უდავო. ხოლო როდესაც, დაახლოვებით მე XI საუკუნეში სომხეთი მოისპო—ეს ადგილები სადაო არასოდეს ყოფილა—იგი საქართველოს ეკუთვნოდა და თუ მტერი იპყრობდა, იპყრობდა, როგორც ჩვენს ტერიტორიას.

გეოგრაფიულადაც ეს მხარეები საქართველოს ეკვრის. ყველა გზები ჩვენსკენ მოდის და მდინარეებიც აქეთ მოისწრაფიან და მტკვარს ერთვიან. ვაჭრობაც ყოველთვის აქეთკენ ვითარდებოდა, საქართველოსთან და მაშინაც კი, როდესაც იგი მტრისაგან დაპყრობილი იყო—ალებ მიცემობის ყოველთვის საქართველოსთან აწარმოებდა.

სომხებს კიდევ მოჰყავთ სხვა საბუთები სხვათაშორის, გეოლოგიური საბუთებიც. პირველად მესმის, რომ გეოლოგის პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტად იხმარიებენ. მაგრამ გეოლოგია რომ საბუთად მივიჩნიოთ, ვაი თუ სომხებმა ძალიან ბევრი ადგილი დაჰკარგონ ისეთი, რაზედაც ისინი ყოველთვის პრეტენზიებს აცხადებდნენ.

რაც შეეხება ეთნოგრაფიულ პრინციპს ესეც აქ გამოუსადეგარია. სომხები ჩამოსახლდნენ ჩვენს ტერიტორიაზე, იმ ადგილებში, რომელიც ქართველმა მაჰმადიანებმა დასტოვეს, ან სადაც ხალხი მტრისაგან განადგურდა. ისინი შემოვიდნენ საქართველოში და არა რომელსამე კერძო ადგილზე. სომხების პრინციპი რომ მივიღოთ, ეს იმას ჰნიშნავს, რომ ბელგიელებმა, რომელნიც ამ ომის გამო საფრანგეთში გადასახლდნენ გამოაცხადონ—საფრანგეთი ჩვენიაო.

ჩვენთვის კი ამ მხარეებს უდიდესი ეკონომიური, სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მეცხვარეები აქ აძოვებენ ცხვარს და ამ ადგილების გაწირვა იქნება გაწირვა ჩვენი მეურნეობის ერთ მნიშვნელოვან დარგისა.

ჯავახეთი და ბორჩალო, სთქვა დასასრულ პატივცემულმა ლექტორმა—კარია საქართველოსი და მისი დაკარგვა—სახელმწიფოს კარების გაღებას უდრის. „მეწინავე დროშის“ და „წინ მბრძოლთა დროშის“ კუთხეებს საქართველო დაიცავს, თუ მას დამოუკიდებელი არსებობა ჰსურს. და იმედია, ქართველი ერი ხიშტების ჯაგრად შემოერტყმება სამშობლოს მიწა-წყალს, როგორც ის მთები, რომელნიც სხვა და სხვა მხრიდან ჰსაზღვრავენ ჩვენს ქვეყანას.

დარბაზი მთლად სავსე იყო მსმენელებით, რომელნიც მრავალ ჯერ ტაშით აწყვეტინებდნენ ლექტორს. ტფილისის კომიტეტი და ჩვენი პარტიის სამხედრო საბჭო უღრმეს მადლობას უძღვნის პატივცემულ პროფესორს ამ ლექციის წაკითხვისათვის რომლის შემოსავალი გადადებულია სამხედრო საჭიროებისათვის.

მუწუკი მოვიშოროთ.

ვინ არ უწყის თუ როგორის ლოიალობით ექცეოდა საქართველოს არა თუ მეოცე საუკუნის სოციალისტური მთავრობა არამედ ძველად, როცა ჩვენი ისტორია ჯერ კიდევ არქივის თახჩაზე არ იყო მოთავსებული ძველი საქართველოს მთავრობა სომხებს...

ეს იმიტომ რომ ქართველი ერი ბუნებით დემოკრატიულია და მას სხვის უბედურებაზე თავისი ბედნიერების აშენება არ უყვარს.

მიუხედავად ამისა, სომხები ყოველი ღონის ძიებით სცდილობდნენ ჩვენი ერის დამხობა-დასამარებას და საქართველოს მოსასპობად თვით ეშმაკსაც კი შეუერთდებოდნენ.

ასე იყო ძველად, ასე იყო მაშინაც, როცა დამარცხებულმა საქართველომ თავისი პოლიტიკური „მე“ობა დაჰკარგა და ჩრდილოეთის დათვს მიეკედლა.

სომხების პოლიტიკა ყოველთვის რუს „ნამესტნიკების“ გზით მიმდინარეობდა და მათი მოქმედება რუსის მოხელეების მოქმედებასთან იყო შეფარდებული.

და ასე მოხდა მაშინაც, როცა რუსეთის აბსოლიუტიზმი დამარცხდა და მის ნანგრევებზე თავისუფლების დროშა აფრიალდა.

„დაშნაკელების“ ხელმძღვანელობით სომხის ერი ძველად რეაქციის დროს და ეხლაც რევოლიუციის დროს ბრმა პოლიტიკას აწარმოებდა და მერყეობას განიცდიდა.

და თუ წინად ხატისოვები ვორონცოვებს ფეხ-ქვეშ ეგდებოდნენ და მოწყალებასა სთხოვდნენ, ეხლა კაჩაზნუნები და ტიგრანიანები ხან ბაქოს ბოლშევიკებს უძვრებდნენ უბეში, ხან კი საქართველოს თავზე შავრაზმელ დენიკინს ხელს უწოდებდენ.

და მათ ყოველთვის ერთი მიზანი ჰქონდათ ეს მიზანი არის,—საქართველოს დამხობა და “დიდი სომხეთის” დაარსება...

დღეს ის მუწუკი, რომელიც ჩვენ ყოველთვის გვაწუხებდა გასკდა და იმ ჭრილობას, რომელიც მოჰყვა ამ მუწუკის გასკდომას მხოლოდ ერთი მალამო უშველის.

ეს მალამოა,—ხმალი მათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენს წინააღმდეგ ხმალი იშიშვლა.

ჩვენი მიზანია, — თავისუფალი საქართველო თავისუფალ კაცობრიობაში.

ეს მისწრაფებაა, ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცება და მთლიანი საქართველოს დაცვა.

ამ მიზნის მისაღწევად ყოველივე საშუალება უნდა ვიხმაროთ.

და მისწრაფების განსახორციელებლად მტკიცედ უნდა დავირაზმოთ.

სწორედ დღეს დაგვიდგა ის დრო, როდესაც შეგვიძლიან ჩვენი ორგანიზმის შემაწუხებელი მუწუკი თავიდან მოვიშოროთ და სრულიად ჯანსაღნი კაცობრიობის ისტორიის ფერხულში ჩავებათ.

ირაკლი.

ქალაქთა კავშირში

სექტემბრის შუა რიცხვებში კავკასიის ქალაქთა კავშირის ყრილობა მოხდა, რომელიც დამთავრებისას საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა ყრილობად გამოცხადდა ამნაირად ჩაეყარა საძირკველი საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირს; არჩეულ იქნა მთავარი კომიტეტი და ბიურო ამის შემდეგ მუშაობა ახალ ფარგლებში უნდა დაწყებულიყო და შიგ მომუშავენიც უნდა გამსჭვალულიყვნენ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების განმტკიცება—გაღონიერების იდეით. ნორჩი დემოკრატიული თვითმართველობების ხელის შესაწყობად ახლად დაარსებულ კავშირს ბევრი რამ შესწევდა: მას ჰქონდა უკვე გამოწყობილი სამუშაო აპარატი და უამრავი სიმდიდრე. ქალაქებისთვის საჭირო ნივთები.

ოთხი თვე გავიდა კავშირის დაარსების შემდეგ და შეიძლება ითქვას, რომ კავშირს არაფერი გაუკეთებია; უამრავი სიმდიდრე კავშირისა უძრავადაა. კავშირი, ნაყოფიერ მუშაობისათვის, 7—8 განყოფილებათ არის დაყოფილი. უცილობლად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ განყოფილებაში მუშაობა არ არის; განყოფილების გამგენი მოვლენ ერთი საათით, გაზეთებს წაიკითხავენ და ისევ გზას ეშურებიან. არც ერთმა ბიუროს წევრმა, არ იცის სად რა ნივთების საწყობები აქვს კავშირს, როგორ მდგომარეობაში არიან ეს საწყობები და სხვა.

ერთად ერთი განყოფილება, რომელიც ასე თუ ისე მუშაობს, არის სამეურნეო განყოფილება, რომელსაც დღეში ასი ათასობით შესავალ-გასავალი აქვს; ჩვენ ქალაქებს ამ განყოფილებიდან არაფერი სარგებლობა არ აქვთ. მთელი შემოსავალი ამ განყოფილებისა უნდება კავშირში მუქთად მყოფ მოსამსახურეთა და მომუშავეთა ჯამაგირებს.

თუ რომელიმე თვითმართველობა მოინდომებს კავშირიდან რაიმე ნივთების დაკვეთას, ამის სისრულეში მოსაყვანად მთელი თვეებია საჭირო; როცა დაკვეთილი ნივთი ალაგზე მივა. დაკვეთილი ნივთის მაგიერ შიგ სხვა რამე აღმოჩნდება: შაქრის მაგიერ—მარილი. ასეთი შემთხვევა ჰქონდა ხაშურის თვითმართველობას.

ყოველმა თვითმართველობამ იცის, რომ კავშირიდან საქონლის მიღებისათვის თვეებია საჭირო და ამიტომ ზოგიერთ თვითმართველობას ამისათვის განსაკუთრებული პირი ჰყავთ დაქირავებული ქალაქში. მაგალითად ზუგდიდს. სურამის თვითმართველობას კი ოთახი აქვს დაქირავებული, რადგან სასტუმროში თვეობით ყოფნა სურამის გამგეობის წევრებისთვის ძვირი ჯდება ამნაირად კავშირის დამახასიათებელი თვისებებია: დაუდევრობა, საქმისადმი უყურადღებობა, ზერელეთ მოქცევა, უპატრონობა და სხვა.

კავშირს აქვს ისეთი განყოფილებანი, რომელნიც სრულიად არაფერს აკეთებენ და არც საჭირონი არიან. არიან ისეთი განყოფილებანი, რომლის სათავეში ჩვენი რესპუბლიკის აშკარა მოწინააღმდეგენი არიან და საქმის გაკეთების მაგიერ მხოლოდ ვნება მოაქვთ.

ყრილობაზე დადგენილი იყო თანდათან შემოეღოთ ნაციონალიზაცია; ყოველ განყოფილების სათავეში უნდა ყოფილიყო თითო ქართველი მაინც და ეს დადგენილება დარჩა აქამდე, ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ოთხმოცდაათ პროცენტზე მეტი კავშირში მომუშავენი რუს სომხობაა და შეიძლება ითქვას, რომ ყველა ჩვენი რესპუბლიკის მოწინააღმდეგენი არიან. განსაკუთრებით ზოგიერთ განყოფილების სათავეში მდგომი პირნი, ცნობილნი არიან ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ თავიანთი აქტიური გამოსვლებით.

ახლა მაინც დროა განხორციელდეს: ვინც ჩვენსკენ არაა, ის ჩვენი მოწინააღმდეგეა და მას ადგილი ჩვენში არა აქვს...

სანდო.

პასუხად დ. თურდოსპირელს

ბ. თურდოსპირელი, რომელსაც ეტყობა, ზრდილობა უნივერსიტეტში დარჩენია, აღარ იცის, სად როგორი სიტყვები იხმაროს. გაზეთ „ერთობის“ № 277, ოქტომბრის 22-ს უშვერის სიტყვებით ლანძღავს ყველას, ვინც კი მის ნომრის თაყვანის მცემელი არ არის, იმავე დროს კი გაიძვერა ყაჩაღს ტატე შუშიაშვილს, რომელზედაც მრავალი ბრალდებებია ჯერ ისევ 1905 წლისა ბაზალეთის რაიონში ნამოქმედარი; და ეხლა, მის კამისრობის დროს, რომელმაც მრავალი სალდათის ცოლი და ბავშვი ატირა სალდათთა ოჯახების ფულის გაფლანგვით, ცამდის აჰყავს როგორც ვითომდა პირველი ნომრის პატივისმცემელი და ამ პარტიის ნდობით აღჭურვილი სხვა და სხვა მხარეში იგზავნება სამუშაოდ და ხელმძღვანელად. მაგრამ ეს არ იცის თურდოსპირელმა, რომ მას მთელი მაზრა სცნობს გათახსირებულ ავაზაკად და მის დანახვაზედ არამც თუ ხალხი არ მივიდოდა, არამედ მართლა როგორც თვით ბ. თურდოსპირელი სწერს, მთას იქით გადიკარგებოდა.

მე-16 მუხლში სწერს თურდოსპირელი: ხალხი დაიშალა, რაიონის კომისიამ პროტესტი გამოაცხადა და ყუთი შერჩათ ვითომდა მე და სიმონ შადურსაო. მადლობა ღმერთსა რომ შადური მაინც დარჩენილა, ეს ის ბადურია, რომელმაც აგვისტოში ორი ფელეტონი უძღვნა საზოგადოებას „ერთობის“ გაზეთით; რაც შეეხება ყველა იმ ბრალდებებს, რომელიც მოყვანილია ჩემი მოქმედების წინააღმდეგ მე 15, 16 და 17 მუხლებში ამას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დანიშნული საგანგებო გამომძიებელი იმედია მიუდგომლად გამოიძიებს საქმეს და რაც შემდეგაც გამოჩნდება, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. იმის შესახებ ვითომ ხალხი სწუხს: ეს რა ცეცხლი დაგვიყენესო და მიდიან ბ თურდოსპირელთან საშუამდგომლოდ, რომ მე გადამაყენონ თანამდებობიდანა მტკნარი სიცრუეა და დაუჯერებელი, ვინაიდან მე მთავრობიდან არა ვარ დანიშნული, არამედ იმ ხალხისაგან, რომელთაც მე ამ არჩევნით მეორედ ამირჩიეს. თუ არ სჯერა ბ. თურდოსპირელს, მაშინ მიბრძანდეს და ჰკითხოს ბ. წიწივაძეს, რომელიც ხელმძღვანელობდა კომისრების არჩევნებს დუშეთის მაზრაში შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალებით.

ყაზბეგის რაიონის კომისარი
ალ. ფიცხელაური.

თეატრი და ცხოვრება

კავშირის დასი. მსახიობთა კავშირის საბჭომ დაადგინა, რომ ერთი წარმოდგენის სრული წმინდა შემოსავალი უძღვნას მეომართა საჭიროებას და შეგროვილი თანხა გადასცეს სამხედრო სამინისტროს დადგენილ იქმნა, რომ ამ დღისათვის ადგილების ფასი ფასი მომატებულ იქმნას და წარმოდგენილ იყვეს ძველი, პატრიოტული პიესა აკ. ცაგარლისა **ქართველი დედა**. წარმოდგენის დღედ დანიშნულია პარასკევი, დეკემბრის 27 სახელმწიფო თეატრში ბილეთები უკვე იყიდება.

— კავშირისავე დასი ამ ჟამად ამზადებს ლეო ქიაჩელის რომანის „ტარიელ გოლუა“-ს სასცენო ილუსტრაციას. მზადდება ახალ დეკორაციები. მთელი ილიუსტრაცია დადგმულ იქნება დეკორაციის მხრივ ესკიზურად, ჰორიზონტად და მაუდებით. წარმოდგენას თან ახლდება რომანის წამკითხველი. მზადდება აგრეთვე ანტიური პიესა „ანტიგონე“ ახალგაზრდა რეჟისორ—ვ. ყუშიტაშვილის რეჟისორობით. პიესას თან ახლდება მუსიკა და პლასტიური მიმოხვრანი.

მეგვის ხიდის აფეთქება

სასამართლო

ბრალდებული შმაგაილოვი (გაგრძელება) მოსკოვში მე ვხედავდი თუ როგორ მშვიდად შესცქეროდა გრაფი მირბახი ბოლშევიკების საზიზღარ საქციელს, რომელნიც ჟლეტდნენ რუსეთის მოღვაწეებს. მე დავრწმუნდი, რომ მხოლოდ საიმპერატორო გერმანიის გვამებზე შეიძლება აღსდგეს რუსეთი. ამიტომ ჩემი და ჩემი ამხანაგების ცდა იყო, როგორმე სხვა არმიაში გადავსულიყავით და მოკავშირეთა ლაშქარში მონაწილეობით დაგვემხო გერმანია, კავკასიაშიაც, აქეთკენ იყო მიმართული ჩვენი ცდა. მე გავიცანი საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის წარმომადგენელნი და ვთხოვდი გამოეყენებინათ ჩემი ცოდნა და გამოცდილება და მოვეხმარეთ ეს ისე, როგორც მათ სურდათ, ოღონდ გერმანიის დამარცხებაში აქტიური მონაწილეობა მიმეღო.

ამისათვის მივმართე მე პოლკოვნიკ პაიკს. მან მითხრა ჯერ ეს მოუხერხებელი არისო. ერთხელ ინგლისის მისიაში მითხრეს: სრულებით არ არის საჭირო, თქვენ დასავლეთის ფრონტზე გაემგზავროთ, აქაც გამოგვადგება თქვენი დახმარება; ახლო მომავალში ამიერ-კავკასია გახდება ბრძოლის ასპარეზად მოკავშირეებსა და გერმანიას შორისო. დარჩით აქ, ეს უკეთესი იქნება.

როდესაც ოსმალეთსა და ამიერ-კავკასიის შორის საომარი მოქმედება დაიწყო, ჟუნკოვსკი მოვიდა ჩემთან და მითხრა, მაიერ-სმიტი (ინგლისის მისიის წევრი) გიხმობსო. მაიერ-სმიტმა გამომიცხადა, თუ ოსმალ გერმანელები ამიერ-კავკასიაში შემოიჭრნენ, თქვენი დახმარება დაგვჭირდებაო, მაგრამ ჩემი დახმარება აღარ.

მაისში უკვე გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა დაიშალა და ეკონომიურად გერმანიამ ჩაიგდო ხელში ერთი მისი ნაწილი—საქართველო. ინგლისის წარმომადგენლებმა მომანდეს მე და იმათ, ვისაც მოკავშირეებთან მუშაობა ჰსურდა, თვალყური გვედევნებინა იმისთვის, თუ როგორ დაიჭერდნენ თავს გერმანელები, როგორი ეკონომიურ პოლიტიკას აწარმოებდნენ იგინი. საჭირო იყო მთელი კადრი მომუშავეებისა, რომ დაგვეთვალიერებინა და შეგვესწავლა გზები. მე დავათვალიერე სამხრეთ ოსეთის გზა და მისთვის დინამიტიც შევიძინე. ამაში სახელმწიფო დანაშაული დაინახეს: დაატუსაღეს ჟუნკოვსკი, ფონ-რუბენიუ და სხვები. მე შემთხვევით გადავრჩი და დავიმალე. მე წავედი პაიკთან და ვუამბე ყველაფერი, თუ როგორ ჩაიშალა საქმე და მისი მომწყობნი შეიპყრეს.

პაიკმა გადამიშალა მე გეგმა მოკავშირეებისა პროდუქტების განაწილების შესახებ მთელ დედამიწის ზურგზე; ამიტომ საჭირო იყო არ გაგვეშვა პროდუქტები გერმანიაში და ამის გარდა უთუოდ უნდა შეჩერებულ იქნეს აქ გერმანიის ჯარი, რომ [illegible] ვერ წავიდეს დასავლეთის ფრონტზე. პაიკმა მკითხა—შემიძლია თუ არა ამის მოწყობა. მე უპასუხე: მე თქვენ სამსახურში არ შემოვალ და სასყიდლით არ ვიმუშავებ, მხოლოდ იდეისათვის ყველაფერს შევასრულებ. რამდენიმე ხნის შემდეგ პაიკი მოჰკლეს. მისი ადგილი დაიჭირა მაიერ-სმიტმა. მანაც დაბეჯითებით მითხრა: არას გზით არ შეიძლება დაუშვათ, რომ გერმანიამ პროდუქტები გაიტანოსო.

მეც დავიწყე მუშაობა. გერმანიის მისიაში აგენტებიც გავიჩინე. ამ დროს გერმანიის წყალობით უაღრესად გაძლიერდა სპეკულიაცია. გერმანია ყიდულობდა უამრავ პროდუქტს და მეც დავიწყე საკომისიო საქმეები. იმიტომ კი არა, რომ ფული მომეგო; არა მე საკმაოდ შეძლებული ვარ და ამ მხრივ უზრუნველად შემიძლია ვიარსებო, მე მინდოდა მხოლოდ გერმანელების მისიის საქმეები გამეცნო, დავახლოვებოდი მათ პროდუქტების მოწოდების საშუალებით და შემდეგ განმეხორციელებია გეგმა.

აგენტის საშუალებით საქმე ისე მოვაწყე, რომ გერმანელების „ნარიადები“ პროდუქტებზე ჩემს ხელში გადიოდა. მე გავიგე, რომ გერმანიას უნდა გაეტანა ნახევარი მილიონი ფუთი თივა, მთელი საავტომობილო მოწყობილობა, გოგოლის ქუჩაზე საწყობში რომ არის, 16,800 ავტომობილის რეზინა და სხვა. ამ დროს მე ქუთაისში ვიყავი. საჩქაროდ ჩამოვედი ტფილისში და კავკავში გამგზავრებას ვაპირებდი, მაგრამ საღამოს ჩალხუშიანმა ვიღაც კაცი მოიყვანა ჩემთან, რომელმაც შიფრიანი წერილი გადმომცა ინგლისელთა მისიის. მან კავკავში წასვლა არ მირჩია—ვინც კი ჩამოდის ინგლისის მისიასთან, ყველას ატუსაღებენ ბოლშევიკებიო. ინგლისელთა მისია ინსტრუქციებს მაძლევდა—გერმანელებს პროდუქტები არ გაატანიოო.

მე ვიცოდი, რომ ნაწილი ამ პროდუქტებისა უკვე გატანილი იყო, ხოლო მეტი წილი გერმანელთა საწყობებში იყო ქართულ გიმნაზიის შენობაში: ჩაი, შაქარი, ერბო, მაკარონი, ფქვილი, თამბაქო, ქაღალდი და სხვა. მე მაქვს დოკუმენტები, რომ გერმანელებს უნდა გაეტანათ რამდენიმე ასი მილიონის ღირებული პროდუქტები და ამ პროდუქტებს ისინი დიდ ფასებში ჰყიდულობდნენ; გერმანელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ყველაფერი გაეტანათ რასაც შესძლებენ, უკანასკნელი სისხლი ამოეწოვათ კავკასიიდან. ამიტომ ყოველი დღე ძვირფასი იყო, დაყოვნება არ შეიძლებოდა. ინგლისელები მწერდნენ სურამის გვირაბის აფეთქებაც რომ დაგჭირდეს, ამის წინაშეც არ შედრკეო. სურამის გვირაბის აფეთქებაზე მე უარი განვაცხადე. საჭირო იყო მხოლოდ ორი სამი კვირით შეგვეფერხებინა გერმანელები, ამ დროში მათი ბედი საბოლოოდ გადაწყდებოდა დასავლეთის ფრონტზე. საკმარისი იყო რომელიმე ხიდის აფეთქება და ამით 2—3 კვირით შეწყვეტა რკინის გზის მოძრაობის და გერმანელები ვერც სურსათს გაიტანდნენ, ვერც ჯარს მიაშველებდნენ ფრონტს.

ეს იყო აქტი სამხედრო, ომის აუცილებლობით გამოწვეული, და საქართველოს წინააღმდეგ არაფერი ჰქონია არც ინგლისს, არც ამერიკას, არც მე. ვერავინ დაიჯერებდა იმას, რომ საიმპერატორო გერმანია დემოკრატიული საქართველოს მეგობრად გამოდგებოდა: მათ ერთმანეთში არაფერი ჰქონდათ საერთო; არავის სწამდა, რომ ეს მეგობრობა ხანგრძლივი იქნებოდა. და ეს აქტი, მე რომ მოვაწყე, საქართველოს წინააღმდეგ სრულებითაც არ ყოფილა მიმართული. მე პირდაპირ მიკვირს, რომ ამ აქტში დაინახეს სომხეთის მტრობა საქართველოს წინააღმდეგ: თითქოს მე სომხეთის მხარეს ვყოფილიყავ და მათი დავალებით მომეწყოს აფეთქება საქართველოს დასაღუპავად. მე რომ მცოდნოდა, ხიდის აფეთქება საქართველოს რესპუბლიკას დაჰღუპავდა, რასაკვირველია ამას არ ჩავიდენდი. მაგრამ მე კარგად ვიცოდი—მე გამოცდილი ინჟენერი ვარ—რომ ეს ასე არ იქნებოდა: მხოლოდ ორი სამი კვირით შეწყდებოდა მოძრაობა.

რადგან ინგლისელთა დავალებას ჯერ არ ვასრულებდი, საყვედურით მომმართეს: აცხადებდი მუდამ მზად ვარ დაგეხმაროთო და ეხლა კი უარს ამბობო. და მე კვლავ გამომიგზავნეს კაცები. მაშინ გადავწყვიტე რომელიმე ხიდი ამეფეთქებინა ჯერ ვფიქრობდი რიონის ხიდის აფეთქებას, მაგრამ ის ძალიან დი-

დია და სამზადისს 2—3 კვირა მოუნდებოდა, უფრო ადვილი იყო ძეგვის ხიდის აფეთქება და მეც მასზე შევჩერდი.

იმ დროს მე არ მყავდა სანდო პირები დასახმარებლად ერთად-ერთი იყო ჩალხუშიანი. ვთხოვე ოფიცრები ეშოვა ჩემთვის. მანაც მომიყვანა (თუმც პირად შეხვედრას ყოველთვის ვერიდებოდი), ორი ოფიცერი; ერთს ამფეთქებელი („პოდრივნიკი"), მეორეს ის „უფროსს" ეძახდა. ამათ მომიტანეს წიგნი „აფეთქების წარმოება" (ეს მოხდა ოქტომბრის 24—25), ოქტომბრის 28—29 ამათ მომიტანეს დინამიტი და მავთული.

ამ დროს კავკავიდან ინგლისელებმა კაცი გამომიგზავნეს—დღესვე უნდა მოაწყო აფეთქებაო. მეც დავაჩქარებინე ჩალხუშიანს, 30-ს მან მოიყვანა ჩემთან „აფეთქებელი" და შეშინებულმა მითხრა „ყველაფერმა ფუჭად ჩაიარაო". ამფეთქებელს ვიღაც ნაცნობი ქართველი ოფიცერი შეხვედროდა, რომელსაც ეთქვა სურამის გვირაბის, სახელოსნოების და ხიდების აფეთქება უნდოდათო. ჩალხუშიანს ეშინოდა, რომ ხიდთან ამ ხმის გამო დარაჯები იქნებიან დაყენებული და შეგვიპყრობენო.

ჩვენ გადავწყვიტეთ მცხეთაში წავსულიყავით, ჩალხუშიანიც უნდა წამოგვყოლოდა. მუშები წინ და წინ გავგზავნეთ და ასაფეთქებელი მასალა გავატანეთ მე თან წავიღე პატრუქი და მავთული (მეორე) ტფილისიდან გავედით (მე და „უფროსი", ჩალხუშიანი არ წამოსულა) ღამის თერთმეტის ნახევარზე, მცხეთაში ჩამოვხტით. ღამის 3 საათზე უკვე ხიდზე ვიყავით. იქ არავინ იყო: „უფროსი" წინ წავიდა, მე კიბეზე ჩამოვჯექი. დავიწყეთ მუშაობა. მოისმა მატარებლის [illegible], მე შევწყვიტე მუშაობა, რადგან მატარებლის მოახლოვებაზე დარაჯები გამოვიდოდნენ და, ჩვენ რომ გვენახავდნენ, შეგვიპყრობდნენ. მატარებელმა რომ გაიარა, ჩვენ განვაგრძეთ მუშაობა მივეცი მუშებს ინსტრუქციები და თვითონ გავუდექი გზას. გავედი ტყეში, გზა დამებნა, სულ ეკლიან ბუჩქებში მიხდებოდა სიარული, მთელი დღე ასეთი [illegible] დავდიოდი. საღამოს შემხვდა უცნობი, რომელიც კუჩარიანი აღმოჩნდა შემდეგ (ამის შემდეგ შმაგაილოვი იმეორებს იმავეს, რაც ჩვენების დროს სთქვა და [illegible] სიტყვა ასე:

ჩემთვის სრულებით გაუგებარია, რომ ამ აქტს ხედავენ, როგორც საქართველოს წინააღმდეგ მიმართულს. ეს არის აქტი მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო და გერმანიის წინააღმდეგ მიმართული

თავმჯდომარე გაქვთ დოკუმენტები, რომ ხიდი ინგლისელთა მისიის დავალებით ააფეთქეთ?

შმაგაილოვი. დოკუმენტები არა მაქვს, ჩვენ შორის მოლაპარაკება მხოლოდ სიტყვიერად წარმოებდა და ამას თვით ინგლისელები არ უარყოფენ.

შემდეგ თავმჯდომარე უკითხავს ბრალდებას დანარჩენ ბრალდებულებს და ეკითხება მათ, სცნობენ ისინი თუ არა თავს დამნაშავედ. არც კუჩარიანი, არც კურნიულიანი თავს დამნაშავედ არ აღიარებენ.

დასასრულ გამოჰყავთ მოწმეები, აფიცებენ მათ და სხდომა თავდება 3 ს. 40 წ. მეორე დღის დილის ათ საათამდე.

—

(მეორე დღე)

კვირას სასამართლოს სხდომა იხსნება შუადღის 12 საათზე.

იწყება მოწმეთა დაკითხვა.

მოწ. [illegible]მართელი (მახრის კომისარი) შმაგაილოვი რომ დავიჭირეთ, მან სთქვა ქალაქში ამხანაგებმა დამათვრეს, გამძარცვეს და ძველები ჩამაცვესო, მერე მას აღმოაჩნდა ოქროს ბეჭედი და ფული. სჩანს ის არ გაუძარცვავთ, რომ ეს ნივთები დაუტოვეს. კუჩარიანს უპოვეთ სანთელი, ლუქი, ხიზილალა და საზომი (რულეტკა). მას ფულად 100 მანეთი აღმოაჩნდა (ამით აპირებდა ბრალდებული სანოვაგის ყიდვას სოფლებში), კუჩარიანმა სთქვა. შმაგაილოვს შევხვდი სადგურზე და ერთად გავემგზავრეთ სოფლებში სანოვაგისთვისო.

მოწ ფაჩულია. შმაგაილოვმა, რომ შევიპყრეთ, სთქვა ამხანაგებმა დამათვრეს და გამძარცვესო. მაშინ დილომში ექიმი ალექსიძე გახლდათ, მან გასინჯა და სთქვა, არავის დაუთვრიაო.

მოწ. ჟორდანია (სისხლის სამ. მილიციის უფროსი). დავალებული მქონდა „ორიანტის" სასტუმროში ჩალხუშიანის ბინის გაჩხრეკა, ჩხრეკის დროს მოვიდა ვიღაც (კიურნიულიანი) წერილით და იკითხა: რუბენი სახლშიაო. ჩალხუშიანის ცოლმა სომხურად რაღაც უთხრა და ისიც გაბრუნდა; კიბეზე რომ ჩამოდიოდა, მე შევაჩერე, დავაბრუნე უკან და შევიპყარ.

მოწ. ხაყვარელიძე (გზის ოსტატი). ამოწმებს, რომ მცხეთისა და ძეგვის რაიონში არაფრის ყიდვა არ შეიძლება; თვით მცხოვრებლები სანოვაგის მხრით გაჭირებაში არიან.

მოწ. დურგლიშვილი (გზის მუშა) სამი კვირის წინად ვიდრე ხიდს ააფეთქებდენ ხიდთან რომ ვმუშაობდით ამოიარა ვიღამაც, წვერიანმა, მოკლე საზაფხულო პალტო ეცვა, ყელიანი წაღები და მელოტი იყო (შმაგაილოვის ნიშნებია. მას უჩვენებენ ბრალდებულებს დურგლიშვილი იმ წამსვე ცნობილობს შმაგაილოვს—ეს იყო მაშინ რომ ამოიარაო). აიარა ხიდისაკენ, გადაჰხედა ქვეით და უკან გაბრუნდა პლატფორმისაკენო.

ბრალდებული შმაგაილოვი. ყველას აქირს ცნობილობის მანია. ყველას უნდა აბმაურებული პროცესის მონაწილე გახდეს და იცნობს თუ არა, მაინც ამბობს იცნობო. ამ მუშას არ შეუძლია მე მიცნოს, რადგან მე ხიდთან მხოლოდ აფეთქების დღეს ვიყავი პირველად. ორი კვირის წინად კი მე გავაგზავნე ორი სხვა პირი, მე კი იქ არ ვყოფილვარ.

თავმჯდომარე. ვინ იყო ეს ორი ეროვნებისანი?

შმაგაილოვი. არ ვიცი რა ეროვნების იყვნენ.

თავმჯდომარე. ხომ ელაპარაკებოდით მათ, ხუ თუ ლაპარაკში არ ეტყობოდათ რა ეროვნების იყვნენ, ან და ადგილობრივი იყვნენ თუ რუსები?

შმაგაილოვი. ზოგიერთი „ტუზემცებს" წმინდა რუსულ ლაპარაკობენ უაქცენტოდ, ზოგიერთი კიდევ რუსიც აქ აღზრდილი საგრძნობი აქცენტით ლაპარაკობს.

თავმჯდომარე. შეიძლება გარეგნობით ეტყობოდათ, რა ეროვნებას ეკუთვნოდნენ.

შმაგაილოვი. „უფროსი" ადგილობრივი (ტუზემეცი) იყო. და საზოგადოდ, ჩემთვის სულ ერთი იყო მათი ეროვნება. იმ დროს, მე მხოლოდ მუშაობა მაინტერესებდა და არა მათი ეროვნება. ისე კი ამფეთქებელი ოფიცერი იყო, ორივე ინტელიგენტი იყო.

თავმჯდომარე. სად იშოვე დინამიტი?

— არ ვიცი.

— რამდენი გადაიხადეთ.,

— არ ვიცი, მე ფული არ მიმიცია.

— ხუ თუ თქვენ არ გაგიკვირდათ, გზაში კუჩარიანს რომ შეხვდით, ისეთ დახეულ ტანისამოსში.

— სრულებით არ გამკვირვებია. შევხვდი ტყეში, ბილიკზე, ტანისამოსი დაფლეთილი არ ჰქონია: ეცვა სალდათის შინელი, უყელო წაღები და პაიჭები.

— ხუ თუ აზრად არ მოგივიდათ, ან სურვილი არ აღგძრათ, რომ იმ მძიმე წუთებში მოგ[illegible]ებინათ ეს უცნობი? ან აზრად არ მოგივიდათ, რომ შეიძლება ის ერთი მეძებართაგანი ყოფილიყო ხიდის ამფეთქებლებისა და მოტყუებით კომისარიატში მიეყვანეთ?

— აზრადაც არ მომსვლია, მშვიდად ვიყავი.

— აფეთქებისათვის სანთელი (თაფლის) არ გჭიროებოდათ?

— არა. იმით კაფსიულებს ხომ ვერ მიაწვებ.

— ლუქი?

— ლუქი მით უმეტეს. ლუქისთვის ხომ ცეცხლია საჭირო, და ცეცხლი რომ აგვენთო, დაგვინახავდნენ და შეგვიპყრობდნენ.

— დინამიტში როდესმე თქვენ ფული არ გადაგიხდიათ?

— მე თვითონ მივეცი სასტუმროში 51000 მანეთი შაუმანს.

— რისთვის იყიდეთ დინამიტი, ხომ არ იცით?

— დიაღ, ვიცი. მაგრამ ამაზე მოგახსენებთ მაშინ როდესაც ის საქმე გაირჩევა.

— წერილში ლაპარაკია 250 მანეთზე, პასპორტზე, ვიღაც ოსკაზე და სხვ. რა შეგიძლიათ ამაზე სთქვათ?

— ის წერილი ჩემთვის გაუგებარია იქ რომ ოსკაა მოხსენებული, მე იმას ვიცნობდი, ხოლო არა პირადად, არამედ ჩალხუშიანის გადმოცემით.

— რამ დაგაახლოვათ ჩალხუშიანს?

— საქმემ ის დიდი საქმიანი კაცი იყო, ამასთანავე გერმანიის მოძულე და მე მინდოდა იმით მესარგებლნა.

— რა შემოსავალი გქონდათ თქვენ?

— ვიღებდი კარგ ჯამაგირს. ამის გარდა მქონდა მოსული ფული.

— სად გქონდათ ფული შენახული.

— ჯერ შემნახველ კასაში, მერე მუდამ თან ვატარებდი. ყოველთვის მქონდა რამდენიმე ათი ათასი მანეთი.

— ეხლა ხომ არა გაქვთ ფული?

— მაქვს 20000 მანეთზე მეტი.

— სადა გაქვთ?

— ვერ გეტყვით.

გრძელდება მოწმეთა დაკითხვა.

მოწ. სუხიაშვილი (ძეგველი გლეხი) ტყეში გავედი აფეთქების დღეს სამუშაოდ. მე ვიცოდი, რომ ხიდი ააფეთქეს და დამნაშავეებს ეძებდნენ. ტყეში რომ მოვდიოდი გზაზე, ბუჩქებში დავინახე რაღაც: ჯერ დათვი მეგონა, რომ დავაკვირდი ორი უცნობი კაცი აღმოჩნდა. ერთი მათგანი მომიახლოვდა და დამტვრეული ქართულით მკითხა კავკასიის გზა სად არისო. მე ვასწავლე, მხოლოდ იმ წამსვე გავიფიქრე, ეს პირები ძალიან საეჭვო არიან-მეთქი და შევატყობინე იმათ, ვინც ხიდის ამფეთქებლებს ეძებდა. დავედევნეთ და კიდეც დავიჭირეთ დილომში დიდი სროლის შემდეგ.

მოწმე ამტკიცებს, რომ მცხეთის რაიონში არაფერი მოიპოვება, რომ ყიდვა შეიძლებოდეს. ერთი-ერთმანეთში, თუ ძალიან დასჭირდებათ გლეხებს კიდევ შეუძლიათ იშოვონ (ისიც ქათამი—50 მან , ინდოური—40 მან., ცხვარი—160 მან.)

სხდომა იხურება ნაშუადღევის 4 საათზე.

პროვინციის მასწავლებლებს.

ამხანაგებო! ოთხ წელიწადზედ მეტია, რაც უმაგალითო ომი გაჩაღებული. ხალხი ხალხზედ ამხედრდა, ძმა ძმაზედ და მოდის ნიაღვარი ადამიანთ სისხლისა. ძნელი სათქმელია, რას მოუტანს კაცობრიობას ეს სისხლის ღვრა, გაუმართლებს იმედებს იმათ, ვინც მთელი სიმძიმით განიცადა ომის საშინელება, ვინც შესწირა აუარებელი მსხვერპლი ომის ღმერთს?

პატარა საქართველომაც გაიღო დიდი მსხვერპლი: არა ერთი საქართველოს შვილი გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზედ, არა ერთმა ჩვენმა თანამემამულემ გამოიჩინა თავი და პირნათლად აღასრულა თავისი მოვალეობა....

შესუსტდა მსოფლიო ომი. კაცობრიობა სიხარულით მიეგება ამ მოვლენას მას თან ერთად ჩვენც თავისუფლად ამოვისუნთქეთ და შევუდექით სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას.

და დღეს, როცა ჩვენში გაჩაღებულია კულტურული მუშაობა, რათა ღრმად ჩაეყაროს საძირკველი რევოლიუციით მოპოვებულ თავისუფლებას, მეზობელ ერის მეთაურებმა მოღალატურად ზურგში ჩაგვცეს ხანჯალი და ლამობენ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობას. იღვრება სისხლი საუკეთესო მამულიშვილთა. არა გვგონია ამხანაგებო, იყოს ისეთი ქართველი, რომლის გული არ ალინთოს ცეცხლით, არ გასწიროს თავი სამშობლოს და თავისუფლების დასაცავად. ამ განსაცდელის დროს მოგმართავთ, ამხანაგებო, ყველამ ერთსულოვნად ავასრულოთ ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა, გვერდში ამოუდგეთ ჩვენ მებრძოლ მოძმეთ და რითაც კი შეგვიძლიან დავეხმაროთ.

ამხანაგების მონდობილობით მემართა დამხმარე **ბიურო ტფილისის პირველ დაწ. სკოლ. ქართვ. მასწავლებელთა.**

ბიუროს მისამართი ჭავჭავაძის ქუჩა № 4.

წერილი „საქართველოს" რედაქციას

დეკემბრის 12-ს ქუთაისშიც გაიმართა გვარდიის დღე „ხალხის მეგობარში" დაწვრილებით იყო აწერილი ამ დღის სურათები. სამი დღის შემდეგ გაზეთ „საქართველოში" დაიბეჭდა ამავე დღის შესახებ ცნობები ქუთაისიდან და ქვეშ მოწერილი იყო „ჩ. ქ." ცნობა კი ამოგიღიათ ბ. რედაქტორო „ხალხის მეგობრიდან" სავსებით, მხოლოდ გამოტოვებული იყო რამდენიმე გვარი, რომელიც შეეხებოდა სოც.-ფედერალისტებს.

დანარჩენი სიტყვა-სიტყვით, ნიშნებიც კი დაგიტოვებიათ ისე, როგორც ეს „ხალ. მეგობარში" იყო. ქვეშ კი მოგიწერიათ „ჩ. ქ." ე. ი. ჩვენი ქვეყანა. ჯერ ერთი თუ კი სათაკილოდ მიგაჩნდათ „ხ. მეგობრიდან" ამოღება ზევით დასახელებული ცნობის, არ უნდა ამოგეღოთ; შემდეგ არ უნდა მიგეკუთვნებიათ იგი ისეთი რედაქციისათვის, რომელსაც ერთი სიტყვაც არ დაუწერია და ამასთანავე ბ. რედაქტორო, უნდა გცოდნოდათ, რომ თითქმის ორი თვეა, თქვენი „ჩვენი ქვეყანა" აღარ გამოდის. ასე რომ არამც და არამც თქვენ არ შეგეძლოთ თქვენდა სამწუხაროდ გასარგებლათ გაზ. „ჩვ. ქვეყნის" სამსახურით. დღეის შემდეგ იმედია, თუ რამეს ამოიღებთ „ხ. მეგობრიდან" გაზეთის ინიციალები არ შეგეშლებათ და სწორად აღნიშნავთ მას. ამას მოითხოვს უბრალო ზდილობა რედაქციებს შორის მიღებული.

„ხალხის მეგობრის" რედაქცია.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

საჭირონი არიან

მოხალისენი საპიორთა რაზმისთვის. არსებულ მოხალისეთა დივიზიის შტაბთან. მიიღებიან ის პირნი, რომლებიც თავისუფალნი არიან სამხედრო სამხედრო სამსახურიდან. პირობების გაგება შეიძლება ფრეილინის ქუჩა № 11.

რაზმის უფროსი პორუჩიკი ხაინდრავა. 2632

ვთხოვ იმ ინტელიგენტ პირებს, რომლებმაც ჩემი დუქნიდან უკვე დიდი ხანია წაიღეს ნისიად და მიუხედავად ჩემი მრავალჯერ თხოვნისა არ მოიტანეს ნახარჯი ფული, გამისწორონ ანგარიში ერთი კვირის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გვარს გაზეთში გამოვაცხადებ და კანონიერ გზას მივმართავ.

ალექსანდრე ტატიშვილი.

სავაჭრო „ბუენოს-აირეს" თეატრის შესახვევი № 1. 2630

იყიდება კარტოფილი

წითელი ამერიკული ექვსი კვირისა ნაადრევი. კირკის ქუჩა, № 35. ბინა 8 საათი 4—7 საღამოს. 2631

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს -დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 15—77. 500

საექიმო მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი
მიიღება
ა. ს. ახვლედიანის
აფთიაქში. გოლოვინის პროსპექტი № 41, ტელეფონი 11—65. 2554

ექიმი კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძე (ბაქოდან) მიიღებს შინაგან სნეულობის და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19. 2512

ძმებ ნავახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: „606" და „914" 11—12 ს.

ბ. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ბ. ზ. ავახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. გ. ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.

რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავახარდიანი.

ექიმი მ. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. [illegible] ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი ქ. ტყეშელაშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914"-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი მ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, სა[illegible] და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვინის აფთიაქის გვერდით. 908

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
# გ. მერაბოვისა
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), კუჭისა და ჭაქებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.

საწყლებს უფასოდ. 1340

ექიმი ქალი რ. ბ. შიუმლო-ხაბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი დ. ა. სარალიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 801

1919 წლის იანვრის პირველიდან განახლებულის რედაქციით გამოვა საქართ. სოციალისტ-ფედერალისტ მუშათა კავშირების საორშაბათო საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სოციალისტ-ფედერალისტი

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ დამსახურებული პარტიის წევრები და ქალაქისა და სოფლ[illegible] ამხ. მუშები. თანამშრომელთა და კორესპონდენტთა სია მოკლე ხანში გამოცხადდება. აგრეთვე აგენტებისაც. გაზეთი წლიურად ღირს—20 მან. ნახევარი წლით 11 მან. ექვსი თვით—6 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ. რკინის გზის სადგურებზე 60 კაპ. გაზეთის მიზანია: მდაბიო და სადა ენით აუხსნას მშრომელ ხალხს დღევანდელი მდგომარეობა, შეიტანოს მათში კლასიური შეგნება და ხელი შეუწყოს მათ დარაზმვას სოც.-ფედერ. სარევოლიუციო პარტიის დროშის ქვეშ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის განსამტკიცებლად.

პროვინციელ ამხანაგებს დაბეჯითებით ვთხოვთ გაასწორონ გაზეთის ყოველი ძველი ანგარიში (შემოწირულება თუ გაზ. საფასური) ამ მოკლე ხანში და აგრეთვე მოგვაწოდონ წერილები სოფლისა და პროვინციის ცხოვრების შესახებ.

გაზეთის კანტორა და რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10 ს.—2 მდე და საღამოს 6—8-მდე. მისამართი: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 1, ბიურო სოციალისტ-ფედერალისტებისა გაზ „სოციალისტ-ფედერალისტის" რედაქცია, ტელეფონი 12—96. ყოველი მიწერ მოწერა გაზეთის შესახებ და მოლაპარაკება შეიძლება გაზეთის გამგე გ. მაღრაძესთან გამოცხადებულ დროს, ხოლო რედაქციის მდივან ამხ. ალ. იოსელიანთან საღამოს 6—8 მდე.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქ. 14. (კალოუბნის ქ. 14).